

**ოქმი N4**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**რიგგარეშე სხდომის**

2016 წელი, 10 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

11.00-14.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** დ. კვერდელიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ. საჯაია ე. გორდელაძე, დ. ჭაკნელიძე, ტ. არომიძე, გ. ჩავლეშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ვ. ვადაჭკორია, გ. კილაძე, ბ. ლლონტი, ალ.გოგოძე, მ. გოგოტიშვილი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ჩხაიძე, ნ. ურუშაძე, დ. თენიშვილი, გ. კოჩალიძე, ი. მამალაძე, რ. სვამკოჩაიშვილი, ვ. ნიჟარაძე, ბ. გობრონიძე, ნ. კალანდარიშვილი, ლ. კილაძე, გ. მესხიძე, ლ. სიჭინავა, ლ. ნაცვალაძე, კ. გობრონიძე, ბ. იმნაიშვილი, ვლ. ჩავლეშვილი, ბ.ლომჯარია, ი.დუმბაძე, მ.ბერიძე, რ.გაბაიძე, გ.კოჩალიძე, პ.კილურაძე, ხ.წულაძე, ტ.მგელაძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე - ბ. გობრონიძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის პასუხისმგებელი მუშაკები; მასმედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლები, საზოგადოებრივი დარბაზის წევრები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია (42 დეკრუტატიდან რეგისტრაცია გაიარა 36-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას), გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლიც დაამტკიცეს 31-ხმით.

#### დღის წესრიგი

**4.1.** „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მომხს:** დ. კვერდელიძე

**თანამომ:** ბ.გობრონიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს წევრმა ტ.აროშიძემ დასვა შეკითხვა-როდის დაიწყება სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე კრებების ჩატარება? მიეცა განმარტება, რომ კრებები გაიმართება 2-კვირის შემდეგ და სამუშაოებზე გაიმართება გამარტივებული ელექტრონული ტენდერები.

საკრებულოს წევრმა ი. მამალაძემ გააკეთა ინფორმაცია ბახვის ცენტრალური გზის მონაკვეთის დაზიანების თაობაზე განუმარტეს, რომ გამოცხადებულია ტენდერი მის შეკეთებაზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ- დ. კვერდელიძემ აღნიშნა, რომ პროექტების წინასწარ მომზადებამ და თანადაფინანსების თანხების აკუმულირებამ მუნიციპალიტეტს საშუალება მისცა აპრილის თვიდან დაიწყოს ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ შოთა ართმელაძისათვის საკრებულოს წევრობის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.


**მომხს: დ. კვერდელიძე**

**თანამომ: ე.გორდელაძე**

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცნობად მიიღო სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის ინფორმაცია შოთა ართმელაძისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო